აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა 03/2004

26 მაისი 2004 წელი ქ. ბათუმი

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

1. ამომრჩეველთა ერთიანი სიის (კედელზე გამოსაკრავი) ფორმა (ფორმა №4-1.01.01);
2. ამომრჩეველთა ერთიანი სიის (სამაგიდო) ფორმა (ფორმა №4-1.02.01);
3. ამომრჩეველთა ერთიანი სიის (საბაზისო) ფორმა (ფორმა №4-1.03.01);
4. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის, წევრის მოწმობის ფორმა (ფორმა №5-1.02.02);
5. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის, წევრის მოწმობის ფორმა (№5-1.03.02);
6. საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობის ფორმა (ფორმა №5-1.04.02);
7. საუბნო საარჩევნო კომისიაში პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობის ფორმა (ფორმა №5-1.05.02);
8. საოლქო საარჩევნო კომისიაში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მოწმობის ფორმა (ფორმა №5-1.06.02);
9. საუბნო საარჩევნო კომისიაში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მოწმობის ფორმა (ფორმა №5-1.07.02);
10. საოლქო საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლის მოწმობის ფორმა (ფორმა №5-1.08.02);
11. საუბნო საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლის მოწმობის ფორმა (ფორმა №5-1.09.02);

12. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებლის მოწმობის ფორმა (ფორმა №5-1.10.02);
13. უმაღლეს საარჩევნო კომისიაში აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთათვის სააკრედიტაციო ბარათის ფორმა (ფორმა №5-1.11.02);
14. საოლქო საარჩევნო კომისიაში აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთათვის სააკრედიტაციო ბარათის ფორმა (ფორმა №5-1.12.02);
15. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კანდიდატად წარდგენილი პირის სააღრიცხვო ბარათის ფორმა (ფორმა №3-2.01.01);
16. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კანდიდატად წარდგენილი პირის რეგისტრაციისათვის საჭირო ხელმოწერების შესაგროვებელი ბლანკის ფორმა (ფორმა №3-2.02.01);
17. საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პარტიული სიით წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი მხარდამჭერთა ხელმოწერების შემოწმების შედეგების ოქმის ფორმა (ფორმა №3-3.01.01);
18. ამომრჩეველთა სიაში ცვლილებების შეტანის განაცხადის ფორმა (ფორმა №4-2.02.01);
19. ამომრჩეველთა ბარათის ფორმა (ფორმა №7-1.02.01).

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე: /ი.ფაღავა/

კომისიის მდივანი: /გ. მჭედლიძე/